აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება
(Business Administration)
2018-2022

პროგრამის კოორდინატორი: თემურ შენგელია

პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფესორი:	/ნ. თოდუა/
პროფესორი:	/ი. კოვზანაძე/
პროფესორი:	/დ. ნარმანია/
პროფესორი:	/ლ. საბაური/
პროფესორი:	/დ. სიჭინავა/
პროფესორი:	/თ. შენგელია/
პროფესორი:	/ი. ხელაშვილი/

I. **პროგრამის სახელწოდება:**
ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration)

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება

საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 170 კრედიტი მოდის ძირითად მაპროფილებელ სპეციალობაზე. დარჩენილი 70 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დამატებითი სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები (10 კრედიტის მოცულობით) ან 70 კრედიტი სულ აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით.

ძირითადი მაპროფილებელი სპეციალობის კურსები შემდეგნაირად ნაწილდება:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები – 45 კრედიტი;
- პრაქტიკა – 5 კრედიტი;
- მაპროფილებელი სასწავლო კურსები – 120 კრედიტი (მათ შორის არჩევითი მოდულის 25 კრედიტი).

კრედიტების ყოველწლიური რაოდენობა არის 60.

არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც გაერთიანებულია მოდულში, ისწავლება VII-VIII სემესტრებში. მოდული ითვალისწინებს 25 კრედიტის მოცულობით მაპროფილებელი სასწავლო კურსების გაღრმავებულ სწავლებას. შემოთავაზებული 7 მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს და ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობს არჩეული მოდულის საგნებს.

IV. სწავლების ენა: ქართული

V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამა იძლევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დასაქმებისა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ცოდნის მიღების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა მაღალია საქართველოს შრომის ბაზარზე.

პროგრამა შემუშავდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. მისი შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებულია ის რეკომენდაციები, რომლებიც პოტენციურ დამსაქმებლებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე იქნა მიღებული.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობას განაპირობებს საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების შეუქცევადი ხასიათი და მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობა, რაც მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში ათასობით ადამიანის დასაქმებას იწვევს. შესაბამისად, იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადების მოთხოვნა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ. ამაში მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს:

1. უცხო ენის დაუფლება, ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით B2/2 (Upper-Intermediate) დონეზე.
2. საბაზისო მათემატიკური აპარატის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილების შესწავლა, როგორიცაა წრფივი ალგებრა, ანალიზური გეომეტრია, ზღვართა თეორია და მათი ზოგიერთი გამოყენების დემონსტრირება.
3. აუცილებელი საბაზისო მათემატიკური აპარატის ისეთი ნაწილების შესწავლა, როგორიცაა წარმოებულისა და ინტეგრალის თეორია, დიფერენციალური განტოლებების ელემენტები.
4. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლების გაცნობა, ბიზნესის მართვისათვის აუცილებელი ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების შესწავლა
5. სტუდენტს შეასწავლოს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ცნებები, დებულებები, თანამედროვე კონცეფციები და თეორიები; რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხერხები და გზები; სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმი, ამ ბაზრებზე ოპერირებადი ბიზნეს-ფირმების მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების პრინციპები ეფექტიანობის თვალსაზრისით; სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.
6. სტუდენტს შეასწავლოს ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის ფუნქციონირების ძირითადი კანონზომიერებები; ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ცხოვრების დონეზე ზეგავლენის მიმართულებები; ძირითადი მაკროეკონომიკური მოვლენები (ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა) და მაჩვენებლები; ფინანსური ბაზრებისა და

ინსტიტუტების ფუნქციონირება, ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებები და ფორმები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის თეორიული საფუძვლები.

7. მსოფლიო გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და სამამულო პირობებისა თავისებურებების გათვალისწინებით სტუდენტებს მიეცეს თანამედროვე, ფართო ცოდნა, გამოუმუშავდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის არსის, ორგანიზება-მართვის (ადმინისტრირების) დარგში და გაფართოვდეს მათი შესაძლებლობანი ამ სფეროში.
8. სამამულო და საზღვარგარეთის გამოცდილების შესაბამისად სტუდენტს მიეცეთ ფართო ცოდნა ბიზნესის ცალკეული ფუნქციების, მათი მოქმედებისა მექანიზმის შესახებ.
9. ბუღალტრული აღრიცხვის არსის, ამოცანების, საგნის და მეთოდის შესწავლა; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატების, მარეგულირებელი ორგანოების გაცნობა; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი სისტემის, ბალანსირების პრინციპების, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სრული ციკლის სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციიდან – ფინანსური ანგარიშგების მომზადების ზოგადი წესების შესახებ ცოდნის დაუფლება;
10. თანამედროვე სტატისტიკურ თეორიასა და მეთოდოლოგიაში საფუძვლიანი ცოდნის დაუფლება;
11. სტატისტიკური მეთოდებისა და ხერხების პრაქტიკული გამოყენების უნარ–ჩვევების შესწავლა ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორების ანალიზისათვის;
12. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) ფინანსური აღრიცხვის ძირითადი კონცეფციების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპების, კომპონენტების თავისებურებებისა და ურთიერთკავშირის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებისა და შეფასების საკითხების შესწავლა.
13. მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ცოდნის მიღება და მმართველობითი უნარ-ჩვევების დაუფლება - მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების, პრინციპების, მიდგომებისა და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების შესწავლით.
14. საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობაში მარკეტინგის გამოყენების შესახებ საბაზისო ცოდნის დაუფლება და მარკეტინგის ძირითად პრინციპების გაცნობა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ გაგება მარკეტინგზე, როგორც კომერციული წარმატების მიღწევის ინსტრუმენტზე.
15. ფირმის (ორგანიზაციის) საქმიანობაში მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების (პროდუქტის, ფასის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის) გამოყენებისა და მიზნობრივ მომხმარებლებზე ორიენტირებული შესაბამისი მარკეტინგული გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის გაღრმავებული ცოდნის მიღება.
16. საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციებისა და საგარეო ბაზარზე მათი გამოყენების ხერხების დაუფლება.

17. ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების შესახებ საბაზისო ცოდნის, მათი საქმიანობის მართვაში ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და გადაწყვეტილებების მიღების ხერხების დაუფლება.
18. კორპორაციათა ფინანსების საბაზო კონცეფციების შესწავლა, კორპორაციის საფინანსო პოლიტიკა, მათი ურთიერთობა საფინანსო ბაზრის მონაწილეებთან. ასევე კორპორაციათა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, დაგეგმვისა და შედეგების პროგნოზირების მნიშვნელობის გაცნობიერება და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი საფინანსო ინსტრუმენტების შესწავლა.
19. საჯარო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები, ძირითადი აქცენტები გადატანილ უნდა იქნას სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკურ საფუძვლებზე, სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირებაში საჯარო ფინანსების როლზე, სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც საჯარო ფინანსების უმნიშვნელოვანესი მექანიზმის, ფისკალური პოლიტიკის, საბიუჯეტო სისტემის აგება-ფუნქციონირების არსსა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.
20. ოპერაციათა მენეჯმენტის დანიშნულებისა და ორგანიზაციაში მისი როლის შესახებ საბაზისო ცოდნის დაუფლება, ოპერაციათა მენეჯმენტის, როგორც გამოყენებითი სამეცნიერო დისციპლინის მნიშვნელობისა და კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტის შემეცნება.
21. ადამიანური რესურსების მენეჯმენტთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და თეორიული ბაზის შესწავლა, შრომითი ურთიერთობების მართვის უნარების გამომუშავება პერსონალზე მოთხოვნის განსაზღვრის, მოზიდვის, შერჩევის, ატესტაციის ორგანიზებისა და მისი ჩატარების პროცედურებისა და პერსონალის ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით.

22. ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში არსებული ამოცანების გადასაწყვეტად საოფისე პროგრამული საშუალებების კომპლექსური გამოყენება. შეასწავლოს ეკონომიკური და ბიზნეს ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო მონაცემთა ელექტრონული დამუშავება (ოპტიმიზაცია, პროგნოზირება, საფინანსო-ეკონომიკური გამოთვლები, დინამიკური და შუალედური ცხრილები, აუდიტინგი და ა.შ) და ანალიზი.
23. მისცეს სტუდენტს საქართველოში მოქმედი, სამეწარმეო საქმიანობის და, ზოგადად, ბიზნეს ურთიერთობების მიმართ მოქმედი სამართლის სისტემის თაობაზე საბაზისო ცოდნა.
24. საერთაშორისო ასპარეზზე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ თანამედროვე და ფართო ცოდნის დაუფლება.
25. სტუდენტის მიერ უშუალოდ საწარმოს საქმიანობის დაუფლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება; უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა; თეორიის პრაქტიკასთან მჭიდრო შერწყმა, ანუ აკადემიური განათლებისა და

თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან; იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც იოლად მისაღწევი არ არის უნივერსიტეტში (თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემო და საქმიანი ურთიერთობები); სასწავლო პროცესში შეძენილი და ჩამოყალიბებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების ათვისება; პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

VII. სწავლის შედეგები:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესახებ, რომლებიც აღწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით.

1. ცოდნა და გაცნობიერება.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ბიზნესის მართვის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, მას ეცოდინება: ბიზნესის მართვის ფუნდამენტური დებულებების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების დეტალურად ჩამოყალიბება; ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ბიზნესის ადგილისა და როლის შეფასება; ბიზნესის როლის დაკავშირება მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან; ბიზნესის სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება; ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს აღწერა; საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ჩამოთვლა; ბიზნესის განვითარების თეორიული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა; ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის შეცნობა; ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა; ბიზნეს–გარემოში მიმდინარე ცვლილებების გამოცნობა და მათთან მისადაგება; ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების – ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის, მარკეტინგისა და გაყიდვების, ფინანსების, ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო პრობლემების გამოკვეთა და მათი ურთიერთშეპირისპირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულად, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

1.1 B1.1 დონეზე საშუალო სირთულის დარგობრივი ტექსტების თარგმნა, რეზიუმირება; ფილმების შესახებ მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, კამათში მონაწილეობა, საკუთარი აზრის არგუმენტირება; B1.1 დონეზე სხვადასხვა სახის ტექსტების კითხვა გაცნობითი, შესწავლითი და ძიებითი ფუნქციით. სხვადასხვა სახის კორესპონდენციის, საქმიანი წერილების, ავტობიოგრაფიის, სამოტივაციო წერილის, ესსეს დაწერა. B1.1

დონეზე საუბრის დროს სტუდენტი იცავს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას და აქვს რელევანტური გამოთქმა.

1.2 B1.2 დონეზე საშუალო სირთულის დარგობრივი ტექსტების თარგმნა, რეზიუმირება. ფილმების შესახებ მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, კამათში მონაწილეობა, საკუთარი აზრის არგუმენტირება. B1.2 დონეზე სხვადასხვა სახის ტექსტების კითხვა გაცნობითი, შესწავლითი და ძიებითი მიზნებით. სხვადასხვა სახის კორესპონდენციის, საქმიანი წერილების, ავტობიოგრაფიის, სამოტივაციო წერილის, ესსეს დაწერა. საუბრის დროს სტუდენტი იცავს B1.2 დონეზე ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას და აქვს რელევანტური გამოთქმა. სტუდენტი თავს ართმევს ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისურენოვან გარემოში. B1.2 დონეზე შეეძლება ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება, აქტუალურ თემებზე საუბარი, საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება, პრეზენტაციის გაკეთება.

1.3 B2.1 დონეზე დარგობრივი ტექსტების თარგმნა, რეზიუმირება. ფილმების შესახებ მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, კამათში მონაწილეობა, საკუთარი აზრის არგუმენტირება. სხვადასხვა სახის ავთენტური რთული ტექსტების კითხვა გაცნობითი, შესწავლითი და ძიებითი მიზნით. B2.1 დონეზე სხვადასხვა სახის კორესპონდენციის, საქმიანი წერილების, ავტობიოგრაფიის, სამოტივაციო წერილის, მოხსენების, ესსეს დაწერა. საუბრის დროს B2.1 დონეზე სტუდენტი იცავს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას და აქვს რელევანტური გამოთქმა. სტუდენტი თავს გაართმევს ყოფით, საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისურენოვან გარემოში. B2.1 დონეზე ინტერაქციაში მონაწილეობა, აქტუალურ თემებზე საუბარი, საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება, პრეზენტაციის გაკეთება.

1.4 B2.2 დონეზე ნებისმიერი სირთულის ტექსტების თარგმნა, რეზიუმირება. ფილმების შესახებ მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, კამათში მონაწილეობა, საკუთარი აზრის არგუმენტირება. B2.2 დონეზე სხვადასხვა სახის რთული ავთენტური ტექსტების კითხვა გაცნობითი, შესწავლითი და ძიებითი მიზნებით. სხვადასხვა სახის კორესპონდენციის, ნებისმიერი სახის წერილის, სამოტივაციო წერილის, მოხსენების, ესსეს დაწერა. საუბრის დროს B2.2 დონეზე სტუდენტი იცავს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას და აქვს რელევანტური გამოთქმა. სტუდენტი თავს გაართმევს ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისურენოვან გარემოში. B2.2 დონეზე ინტერაქციაში მონაწილეობა, აქტუალურ თემებზე საუბარი, საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება. პრეზენტაციის გაკეთება.

1.5. თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო სხვადასხვა მათემატიკური აპარატი. როგორიცაა: მატრიცები და დეტერმინანტები, წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემები, ვექტორები, სიბრტყეზე წრფე, მეორე რიგის წირები, რიცხვთა მიმდევრობები და მწკრივები, ფუნქციის ზღვარი და უწყვეტობის ფუნდამენტური საკითხები

1.6. თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო სხვადასხვა მათემატიკური აპარატის აღწერა. როგორიცაა: ფუნქციის წარმოებული, ორი ცვლადის ფუნქცია, განუსაზღვრელი და განსაზღვრული ინტეგრალი, დიფერენციალური განტოლებების ფუნდამენტური საკითხები.

1.7. სტუდენტს ეცოდინება ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიზნები და ამოცანები, ფორმალური განსაზღვრებების შემოღება და მათი გამოყენება, ფუნდამენტური ალბათურ–სტატისტიკური დებულებების ჩამოყალიბება, პრაქტიკული ამოცანებისათვის ალბათურ–სტატისტიკური მოდელის შერჩევა, მონაცემების დამუშავება, ანალიზი, სწორი დასკვნის გაკეთება და მიღებული შედეგების ადეკვატური ინტერპრეტაცია.

1.8. საბაზრო ეკონომიკის ძირითად თეორიებსა და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებს; როგორ იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს ადამიანები და ფირმები სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრებზე; ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი - მოთხოვნა, მიწოდება, წონასწორობა, ფასები; წარმოების დანახარჯების, მოგება-ზარალის ფორმირება; მომხმარებლების მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება; წარმოების ფაქტორების რაციონალური გამოყენება.

1.9. ეროვნულ ანგარიშთა სისტემას, ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრებებს; სახელმწიფოს (მთავრობის) ფინანსური, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს; მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ფორმებისს – ინფლაციისა და უმუშევრობის არსს; ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკის ძირითადი ცნებებს; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებებსა და ფორმებს.

1.10. ბიზნესის საფუძვლების ძირითადი ტერმინები, ცნებები, კრიტიკული, პოზიტიური და პრაგმატული კონცეფცია. ინტუიციური და პროცედურული ბიზნესი, ბიზნესზე მოქმედი საბაზრო ძალები, როლი ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური მიზნების მიღწევაში; ეკონომიკური სისტემების ბუნება და ზეგავლენა ბიზნესზე, ქვეყანაში მაკროეკონომიკური ფონის შეფასება და იმის გარკვევა რამდენად მიზანშეწონილია ამ გარემოში ბიზნესის წარმოება; ბიზნესის მიზანი, მოტივები, სუბიექტები, სახეობები გარემო და მისი გაუმჯობესების გზები; ბიზნეს-იდეის არსი, შემუშავების ხერხები; ბიზნეს-გეგმის რაობა, სახეობები, ფუნქციები და შედგენის ტექნოლოგია, ბიზნესის ორგანიზების ფორმები, მისი რეგისტრაცია. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმე ფიზიკური პირი. რეგისტარციისა და დაბეგვრის თავისებურებანი; ვენჩურული კაპიტალი და ფრანჩაიზინგი, როგორც ბიზნესის ორგანიზაციისა და მსხვილი და მცირე ბიზნესის ურთიერთკავშირის ფორმა.

1.11. მენეჯმენტის, კადრებისა და ადამინური ურთიერთობების არსი და როლი ბიზნესში; ბიზნესის მარკეტინგული უზრუნველყოფა; ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი საქონლისა და მომსახურების წარმოებრივი, ოპერაციული მენეჯმენტი და ლოჯისტიკა; საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი; ბიზნესში გადასახადების სახეები და დაბეგვრის რეჟიმი; სამეწარმეო რისკების განჭვრეტა, შეფასება, პრევენცია და დაზღვევა.

1.12. ბუღალტრული აღრიცხვის ტერმინოლოგიის განმარტება, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების დეტალურად ჩამოყალიბება, საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატების გამოკვეთა, ბუღალტრული აღრიცხვის სრული ციკლის წარმოების წესის აღწერა.

1.13. ნებისმიერი კონკრეტული პროცესის (მათ შორის ეკონომიკური) ამსახველი სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, თავმოყრა–დაჯგუფების, რაოდენობრივი ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების დაუფლება; ცოდნის შეძენა სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების, ანალიზისა და განვითარების ტენდენციების დასადგენად; ცოდნის შეძენა ეკონომიკური და ბიზნესგადაწყვეტილებების რაოდენობრივი შეფასების შესახებ;

1.14. კომპეტენციის შეძენა მაკროეკონომიკური, საბაზრო კონიუნქტურის, შრომის ბაზრის, საფინანსო–საბანკო სფეროს, საგარეო ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების, ანალიზისა და განვითარების ტენდენციების დასადგენად;

1.15. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების დახასიათება, მისი ელემენტების იდენტიფიცირება და შეფასება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფინანსური აღრიცხვის წარმოების პროცესში ძირითადი პრინციპების შერჩევა, საწარმოების საქმიანობის შეფასებისა და სათანადო ღონისძიებების დასახვისათვის ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენება.

1.16. მენეჯმენტის თეორიებისა და მიდგომების ჩამოყალიბება, მენეჯმენტის პრინციპების ჩამოთვლა, მენეჯმენტის ფუნქციების დანიშნულება და ძირითადი დებულებები. გუნდის ფორმირებისა და მართვის მეთოდების შერჩევა. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტების განსაზღვრა. მენეჯმენტის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატვა.

1.17. მარკეტინგის ფუნდამენტური დებულებებისა და თანამედროვე კონცეფციების ჩამოყალიბება, სტრატეგიული მარკეტინგის ზოგადი პრინციპების ჩამოთვლა, მარკეტინგული გარემოს აღწერა, მარკეტინგული კვლევის მეთოდების შერჩევა, მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების დემონსტრირება, მომხმარებლებისა და ბიზნესმყიდველების ქცევის თავისებურებების გამოკვეთა, ბაზრის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა, კონკურენტული სტრატეგიისა და გლობალური ბაზრის ფუძემდებლური კონცეფციების ფორმულირება, მარკეტინგის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის ილუსტრირება.

1.18. მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების (პროდუქტის, ფასის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის) დეტალურად აღწერა, შესაბამისი მარკეტინგული გადაწყვეტილებების ფორმულირება და ორგანიზაციის საქმიანობასთან მათი მისადაგება.

1.19. საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციის ფორმულირება, საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა, ფირმების ინტერნაციონალიზაციის ეტაპებისა და მოდელების ჩამოთვლა, საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს ფაქტორების განხილვა,საერთაშორისო მარკეტინგული კვლევის მეთოდების აღწერა, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტებისგანსაზღვრა, საგარეო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების შეფასება, საერთაშორისო სასაქონლო, საფასო, კომუნიკაციური და დისტრიბუციული პოლიტიკის თავისებურებების დეტალურად ჩამოყალიბება.

1.20. ფინანსური სისტემისა და ინსტიტუტების თანამედროვე მოდელები, ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვა, ფინანსური სისტემისა და ფინანსური ბაზრების ზოგადი დახასიათება, კაპიტალის ბაზრების ეფექტიანობის შეფასება, საბანკო საქმისა და ფინანსური მენეჯმენტის როლის გამოკვეთა, ფინანსური ინსტიტუტებში რისკის გამოვლენის თავისებურებანი, საფინანსო სფეროში ფუნქციონირებად ინსტიტუტებში და ბაზრებში მართვის სისტემები: მიზნები, სტრუქტურა, მმართველობითი ფუნქციები და კომპეტენციები, გლობალური ფინანსური ბაზრების თანამედროვე ტენდენციები და გამოვლენის ფორმები;

1.21. კორპორაციათა ფინანსების როლის განსაზღვრა, დროში ფულის ღირებულების აღწერა, გრძელვადიანი სესხის განმარტება, ობლიგაციების ტიპები კლასიფიცირება და მათი შეფასება, აქციების ტიპების კლასიფიცირება და მათი შეფასება, რისკის,

შემოსავლიანობისა და ალტერნატიული დანახარჯების შეფასება, კაპიტალის სტრუქტურის წარმოდგენა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მართვის პრინციპების ჩამოყალიბება, კორპორაციის რესტრუქტურიზაციის ფინანსური ასპექტების განხილვა;

1.22. ფინანსებისა და ბიუჯეტის თეორიის სფეროში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტება, სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების განსაზღვრა, საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპები და ბიუჯეტის დაგეგმვის აღწერა, სახელმწიფო შემოსვლებისა და მათი განაწილების პრინციპები, საზოგადოებრივი საქონელი და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობები, საბიუჯეტო ფედერალიზმის, ტრანსფერტებისა და გრანტების ბუნება, ბიუჯეტის დეფიციტის წარმოშობის მიზეზები და დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის მართვის მეთოდები;

1.23. ოპერაციათა მენეჯმენტთან დაკავშირებული ტერმინები და ცნებები. ოპერაციათა მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება. ოპერაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების ჩამოთვლა და ინსტრუმენტების შერჩევა. ოპერაციული სტრატეგიების კონცეფციების ფორმულირება

1.24. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის როლის გამოკვეთა, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და პრინციპების ჩამოთვლა, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციების ჩამოყალიბება, ადამიანური რესურსების სფეროში სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება.

1.25. ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში არსებული ამოცანების გადასაწყვეტად საოფისე პროგრამული საშუალებების კომპლექსური გამოყენება, ეკონომიკური და ბიზნეს ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო მონაცემთა დამუშავება და ანალიზი (ოპტიმიზაცია, პროგნოზირება, დინამიური და შუალედური ცხრილები, აუდიტინგიდა ა.შ) ელექტრონული ცხრილის MS Excel გამოყენებით, ელექტრონულ ცხრილში საფინანსო-ეკონომიკური გათვლების კრიტიკული შეფასება და მონაცემთა გრაფიკული წარმოდგენა.

1.26. კერძო სუბიექტებისათვის მართლზომიერი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი კონცეფციები; კერძო და საჯარო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების მოქმედების სისტემური თავისებურებები; სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი საბაზისო ინსტიტუტები.

1.27. საერთაშორისო ბიზნესის არსი, მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, ძირითადი ცნებები, მნიშვნელობა და მისი განსხვავება საშინაო ბიზნესისაგან; საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ამოსავალი ფორმების, თეორიები და კონცეფციები; საერთაშორისო საქმიანი აქტიურობის სუბიექტები, საერთაშორისო ბიზნესში შესვლის ფორმები და მათი ღირსება-ნაკლოვანებანი; მსოფლიო ბაზრები, ბიზნეს-აქტივობის ცენტრები და ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები; საერთაშორისო ბიზნეს-გარემო და მისი სტრუქტურული ელემენტები, ტრანსეროვნული კომპანიების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტის, არსი, კლასიფიკაცია და სტრატეგიები; საერთაშორისო სავალუტო სისტემის როლი ხელსაყრელი პირობების შექმნაში საერთაშორისო ვაჭრობისათვის და საერთაშორისო ინვესტიციებისათვის; საერთაშორისო ბიზნესის სახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

1.28. ფირმის სამეურნეო–ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა; ფირმაში ინფორმაციის მოპოვების ხერხების აღწერა; ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურის მახასიათებლების დეტალურად ჩამოყალიბება.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება: თანამედროვე ბიზნესის განვითარების თავისებურებების დემონსტრირება, ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური ვითარების ობიექტური ახსნა, ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების გამოცნობა, ბიზნეს–გარემოს ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, ორგანიზაციის საქმიანობაზე მაკრო და მიკროეკონომიკური გავლენის ჩვენება, ორგანიზაციული პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს–პროცესის მონაწილეების განსაზღვრა, ორგანიზაციის წინაშე არსებული მმართველობითი პრობლემების აღმოჩენა და მათი გადაჭრა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საბაზისო დოკუმენტების მომზადება, მარკეტინგული მონაცემების მოძიება და ანალიზი, მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების გამოცნობა, ბაზრის კვლევა და მისი შესაძლებლობების განსაზღვრა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, საბანკო–საფინანსო სფეროში არსებული პრობლემების გამოცნობა, ფინანსური ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, ფინანსური დოკუმენტების მომზადება, ბუღალტრული და ფინანსური სისტემების გამოყენება, ორგანიზაციის ფუნქცინალურ ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობის შექმნა, ბიზნეს–პროექტების ცალკეული კომპონენტის შემუშავება, ბიზნესის მართვასთან სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების დაკავშირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის, კურსდამთავრებულს კონკრეტულად შეეძლება:

2.1 B1.1 დონეზე უცხო ენაზე კომუნიკაცია;მოსმენილის გაგება და ინტერპრეტაცია; შეკითხვების დასმა, მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დამაჯერებლად არგუმენტირება; უცხოენოვან გარემოში ნათქვამის ან/და გაბმული დიალოგის ადექვატურად გაგება და მისი გამართულად გადმოცემა; მოცემული პრობლემატიკის ირგვლივ კამათი და საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება სოციალურ ეთიკურ და სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა.

2.2 B1.2 დონეზე უცხო ენაზე თავისუფლად კომუნიკაცია; მოსმენილის გაგების და ინტერპრეტაცია; შეკითხვების დასმა, მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დამაჯერებლად არგუმენტირება; უცხოენოვან გარემოში ნათქვამის ადექვატურად გაგება და მის გამართულად გადმოცემა მოცემული პრობლემატიკის ირგვლივ კამათი და საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება, სოციალურ ეთიკურ და სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა

2.3 B2.1 დონეზე უცხო ენაზე დამოუკიდებელი და თავისუფალი კომუნიკაცია; მოსმენილის გაგება და ინტერპრეტაცია; შეკითხვების დასმა, მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დამაჯერებლად არგუმენტირება; უცხოენოვან გარემოში ნათქვამის ადექვატურად გაგებისა და მისი გამართულად გადმოცემის უნარი; მოცემული პრობლემატიკის ირგვლივ კამათი და საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება. სოციალურ, ეთიკურ და სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა.

2.4 B2.2 დონეზე უცხო ენაზე კომუნიკაცია; მოსმენილის გაგება და ინტერპრეტაცია; შეკითხვების დასმა, მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დამაჯერებლად

არგუმენტირება; უცხოენოვან გარემოში ნათქვამის ადექვატურად გაგება და მისი გამართულად გადმოცემა; მოცემული პრობლემატიკის ირგვლივ კამათი და საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება; სოციალურ ეთიკურ და სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა.

2.5 შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებისა და ამოცანების ამოსახსნელად მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება, აგრეთვე მატრიცებისა და დეტერმინანტების, წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემების, ვექტორების, სიბრტყეზე წრფის, მეორე რიგის წირების, რიცხვთა მიმდევრობებისა და მწკრივების, ფუნქციის ზღვრისა და უწყვეტობის საკითხების ეკონომიკური და ბიზნეს ამოცანების მათემატიკურ ენაზე დემონსტრირება და გადაჭრა.

2.6 ფუნქციის წარმოებულის, ორი ცვლადის ფუნქციის, განუსაზღვრელი და განსაზღვრული ინტეგრალის, დიფერენციალური განტოლებების საკითხების ეკონომიკური და ბიზნეს ამოცანების მათემატიკურ ენაზე დემონსტრირება და გადაჭრა.

2.7 დამტკიცების აღქმის და ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის უნარი მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით; რეალური სამყაროს მოვლენების მათემატიკურად მოდელირების უნარი; ალბათურ–სტატისტიკური ტექნიკის გამოყენების უნარი ამოცანათა ამოსახსნელად.

2.8 საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სიღრმისეული პრობლემების ინდენტიფიცირება, მასთან დაკავშირებული პოლიტიკის შეფასება, გადაჭრის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება.

2.9 მაკროეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების პრაქტიკული გამოყენების უნარი, მაკროეკონომიკურ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო კომპეტენცია.

2.10 ბიზნესის საფუძვლების ტერმინოლოგიისა და ცნებითი აპარატის სწორად გაგება; საკუთარი სურვილების, მენეჯერული და ბიზნესშესაძლებლობების ობიექტური შეფასება; ბიზნესის მიზნებისა და მოტივების სწორად განსაზღვრა; კონკურენტუპირატესობის მოპოვების ხერხების დემონსტრირება; ბიზნეს-გარემოსა და მისი კომპონენტების ანალიზი; საწარმოოს შექმნის გზებისა და ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება; ფირმების სადამფუძნებლო დოკუმენტების შემუშავება და რეგისტრაციის ტექნოლოგიის განხორციელება; სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-იდეისა და მისი კომერციალიზაციის ბიზნეს-გეგმის შემუშავება და ეფექტიანი რეალიზება.

2.11 ზოგადად ბიზნესისა და კერძოდ პერსონალის საქმიანობის ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი; მიზნობრივი ბაზრის ანუ მომხმარებელთა სეგმენტის დადგენა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასაქონლო, ფასისმიერი, გასაღებისა და სარეკლამო პოლიტიკით; ბიზნესის ხარჯების შემცირების გზების განსაზღვრა და ოპერაციული მენეჯმენტის გონივრული წარმართვა; საგადასახადო, საბანკო და სადაზღვევო სამსახურებთან დაბალანსებული ურიერთობა; სამეწარმეო რისკების განჭვრეტა, შეფასება, დაზღვევით დანაკარგების მინიმიზება; მიკრო დონეზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, ობიექტური შეფასება და ოპტიმალური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; ბიზნეს-ადმინისტირებაში მიღებული ცოდნის კონკრეტულ სამეურნეო და ყოფით სიტუაციაში პრაგმატული გამოყენება და პირადი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

2.12 ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადი საკითხების შეფასება, მათი გადაჭრის ფორმებისა და მეთოდების შერჩევა; ფინანსური ანგარიშგების მომზადება;

2.13 შეუძლია ეკონომიკური და სოციალური მონაცემების მოპოვება, თავმოყრა, დაჯგუფება, შერჩევა და შეფასება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით; შეუძლია კვლევის შედეგების სწორი ინტერპრეტაცია;

2.14 სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კვლევებში სტატისტიკური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარ–ჩვევები; ეკონომიკურ მონაცემთა მონიტორინგი ლოგიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით; ამზადებს პროგნოზებს შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსების, ინფლაციის შესახებ.

2.15 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების კრიტერიუმებისა და შეფასების შერჩეული მეთოდების დასაბუთება. სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადება.

2.16 ორგანიზაციაში მენეჯმენტის როლის გამოხატვა, ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოში არსებული ფაქტორების იდენტიფიცირება და ორგანიზაციაზე გავლენის შეფასება, ბიზნეს-გეგმის მომზადება, ორგანიზაციული დაპროექტება და ცვლილებების მართვა, კონფლიქტების გამოვლენა და მართვა, ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა, მოტივაციის მექანიზმების შემუშავება, კონტროლის პროცესში შესაბამისი მეთოდების შერჩევა, საზღვარგარეთ არსებული მენეჯმენტის მეთოდებისა და მენეჯერების თანამედროვე მიღწევების გამოყენება.

2.17 ბიზნესის მართვის სფეროში მარკეტინგის როლის დემონსტრირება, მარკეტინგული გამოკვლევა, მარკეტინგის გეგმის მომზადება, მარკეტინგული გარემოს დახასიათება, მომხმარებლებისა და ბიზნეს მყიდველების ქცევის თავისებურებების გამოცნობა, ბაზრის სეგმენტაცია და მიზნობრივი სეგმენტების გამოვლენა, კონკურენტების გამოკვლევა და კონკურენტული სტრატეგიის შერჩევა, საგარეო ბაზრისათვის ძირითადი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება, ბიზნესის მართვასთან მარკეტინგის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის დაკავშირება.

2.18 პროდუქტის, მომსახურებისა და ბრენდინგის სტრატეგიის შექმნა, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სტადიების შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებების მომზადება, ახლი პროდუქტის მარკეტინგული გეგმის კონსტრუირება, ფასწარმოქმნის სტრატეგიის შემუშავება, პროდუქტის განაწილების სისტემის შერჩევა, მარკეტინგული კომუნიკაციების შემუშავება, სარეკლამო პროგრამის შედგენა, საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა, პერსონალური გაყიდვების, გასაღების სტიმულირებისა და პირდაპირი მარკეტინგის გამოყენება ბიზნესში.

2.19 ფირმის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება, საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურისა და დამახასიათებელი ნიშნების ილუსტრირება, ფირმების ინტერნაციონალიზაციის მიზეზების გამოცნობა, საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს დახასიათება, საერთაშორისო მარკეტინგული გამოკვლევა, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტების შეფასება, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის მეთოდების შერჩევა, საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების შემუშავებაში მონაწილეობა.

2.20 საფინანსო სფეროში საქმიანობის, სიტუაციის შესაბამისად ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, ვითარების ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება, საფინანსო ოპერაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობა; საფინანსო სფეროში რისკის გამოვლენა და მართვა, საფინანსო სფეროში ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, დამუშავება და გამოყენება, ფინანსური

ინსტიტუტებისა და ბაზრების ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოცნობა და გადაწყვეტა, საბანკო მენეჯმენტის ზოგადი პრინციპების, ასევე საბანკო რისკების ძირითადი სახეების შეფასება, ფულად–საკრედიტო პოლიტიკისა და საერთაშორისო პრობლემების დაკავშირება;

2.21 კორპორაციის მართვის პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოცნობა, კორპორაციული ფინანსების კონსტრუირება, კორპორაციისათვის დროის მიხედვით ფულის ღირებულების შეფასება, მიმდინარე ღირებულებისა და ალტერნატიული დანახარჯების განსაზღვრა, საინვესტიციო პორტფელისათვის დამახასიათებელი რისკის მართვა, კორპორაციის კაპიტალის ფორმირება, კორპორაციის რესტრუქტურიზაციისათვის ფინანსური ბერკეტის გამოყენება;

2.22 ფინანსების სფეროში ახალი დოკუმენტებისა და სტატისტიკური მასალების მოძიება და შეფასება, საქართველოში საფინანსო ურთიერთობათა ძირითადი ტენდენციების გამოცნობა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური სიტუაციისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების მუხლების დაკავშირება, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ახსნა, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირებისა და საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმების შერჩევა;

2.23 კომპანიის ოპერაციული სტრატეგიის შემუშავება და ოპერაციათა მენეჯმენტის ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღება, პროდუქტის ან მომსახურების დაპროექტება და შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესის შერჩევა, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების იდენტიფიცირება და სწრაფად ცვალებად სფეროში ორიენტირება, სიმძლავრეების სტრატეგიული დაგეგმვა, სამრეწველო ობიექტების განლაგების ადგილის განსაზღვრა, საწარმოო და საოფისე ფართის დაგეგმვა და დანადგარების ოპტიმალური განთავსება, ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების გამოყენება, სამუშაო ძალაზე საწარმოს მოთხოვნილების დადგენა და მისი ხარისხობრივი სრულყოფისა და რაოდენობრივი შევსების გზების დასახვა, მატერიალური და არამატერიალური ნაკადების დაგეგმვა და მართვა კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე.

2.24 ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მომზადება, ორგანიზაციის ქცევის მართვისა და საქმიანობის შეფასება, პროგრესული ტექნოლოგიების საფუძველზე პერსონალის შერჩევა, დაქირავება და მასთან მუშაობა, პერსონალის ატესტაციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა, პერსონალის დაგეგმვა და განვითარების მართვა.

2.25 ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში არსებული ამოცანების გადასაწყვეტად პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში პრობლემების გადასაჭრელად არსებულ მონაცემთა ელექტრონული დამუშავების საშუალებების გამოყენება, საქმიანი წერილებისა და ბიზნეს–ბარათების მომზადება, ბიზნეს–ინფორმაციის ელექტრონული დამუშავების სტანდარტული გრაფიკული საშუალებების გამოყენება, ეკონომიკისა და ბიზნეს–ამოცანებისთვის პრეზენტაციების მომზადება.

2.26 სტუდენტს შეეძლება: სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვისათვის სათანადო სტრატეგიის შემუშავება და მისი პრაქტიკაში განხორციელება მართლზომიერი გზებით; პრობლემური საკითხების გამიჯვნა სისტემური თვალსაზრისით, სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებისა და კერძო სფეროში ჩარევის ხარისხის თაობაზე რეალისტური და სწორი დასკვნების გამოტანა და მოქმედების ადეკვატური გზების დასახვა კომერციული

მიზნების მისაღწევად; ხელშეკრულებათა სახეებისა და მათი არსებითი ძირითადი ელემენტების განსაზღვრა და მისადაგება ინდივიდუალური ბიზნეს ამოცანებისათვის ისევე, როგორც დადებული გარიგების შესრულებისა თუ დარღვევის შედეგად სათანადო მოქმედებების განხორციელება; სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებების მართებული შეფასება და სპეციფიკური პრობლემების გადაწყვეტისთვის სათანადო ნორმების უშეცდომო მოძიება; საერთაშორისო გარიგებების დადებისას შესაძლო მოქმედი სამართლებრივი სისტემის იდენტიფიცირება და, აქედან გამომდინარე, სათანადო პრიორიტეტების დასახვა.

2.27 საერთაშორისო ბიზნესის საბაზისო ტერმინოლოგიითა და ცნებითი აპარატურით სწორად სარგებლობა; საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათთან დაკავშირებული ინფორმაციული რესურსების მოძიება, ღრმა ანალიზი, ობიექტური შეფასება, გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებში თავისუფლად ორიენტირება და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება; სხვადასხვა კულტურათა და სუბკულტურათა წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის ხერხებისა და მეთოდების ფლობა; ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის მოტივების გააზრება; უცხოურ ბაზარზე შესვლის ფორმების ღირსება-ნაკლოვანებების ანალიზი და კონკრეტულ სიტუაციაში მათგან ოპტიმალურის შერჩევა; საერთაშორისო საქმიანობაში კომპანიის სტრატეგიასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება; საერთაშორისო ბიზნესში მარკეტინგ-მენეჯმენტის თავისებურებების დახასიათება; საერთაშორისო ოპერაციული მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის ურთიერთკავშირის ანალიზი; საშინაო და საერთაშორისო ფირმებში ადამიანისეული რესურსების მართვის განმასხვავებელი ნიშნების დახასიათება და კომპეტენციის ფარგლებში ოპტიმალური მმართველური გადაწყვეტილების მიღება; იმ შესაძლებლობებისა და საფრთხეების გააზრება, რომელიც იხსნება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ; საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებული კითხვების დასმა და მათზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; საერთაშორისო ბიზნეს-ინფორმაციის მოძიება და გადმოცემა; საერთაშორისო ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ჯეროვანი კომენტირება.

2.28 საწარმოს ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების დემონსტრირება; ბიზნეს ოპერაციების განხორციელებაში თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენება; ბიზნესის დაწყებისათვის სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და ბიზნეს–გეგმის მომზადება; ბიზნესის სფეროში რისკების შეფასება და დაზღვევის შესაბამისი მეთოდების შერჩევა; სამეურნეო საქმიანობის სფეროში არსებულ პრობლემების გადაჭრა მისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. დასკვნის უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

3.1 აბსტრაქტული აზროვნება;

3.2 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;

3.3 ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლების იდენტიფიკაცია, გამოცალკავება და ერთმანეთთან შედარება;

3.4 ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეპირისპირება და შეფასება;
3.5 ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამორჩევა;
3.6 ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი ინტერპრეტაცია;
3.7 ახალი ინფორმაციის განზოგადება;
3.8 შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
3.9 გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადება;
3.10 არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ოპერაციულ ან ტაქტიკურ დონეზე;
3.11 შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვა;
3.12 განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა;
3.13 ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება;
3.14 მონაცემების ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;
3.15 აუდიო-ვიზუალური მასალის აღქმა–გაგების უნარი;
3.16 დამოუკიდებელად არგუმენტირებული წერითი ნაშრომის დაწერის უნარი;
3.17 დისკუსიაში თავისუფლად მონაწილეობის უნარი;
3.18 პრეზენტაციის დროს აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემის უნარი.

4. კომუნიკაციის უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

4.1. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება,
4.2. უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარი შესაბამის დონეზე;
4.3. ბიზნესის დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და უცხოურ ენაზე;
4.4. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
4.5. საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს–ტერმინოლოგიის გამოყენებით;
4.6. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
4.7. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;
4.8. ელექტრონული დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
4.9. ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენება;
4.10. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
4.11. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;
4.12. სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია.

5. სწავლის უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

5.1. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
5.2. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
5.3. ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება.

6. ღირებულებები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ღირებულებები:

6.1. ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
6.2. ეთიკური ნორმების დაცვა;
6.3. სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
6.4. თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული პრობლემების გათავისება და დემონსტრირება;
6.5. ინტერკულტურული კომუნიკაციური ღირებულებითი ასპექტების ცოდნა
6.6. უცხოური კულტურული ღირებულებების პატივისცემა.

VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სხვა აქტიური მეთოდები. სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, აგრეთვე დასაუფლებელი დისციპლინის ცნებობრივი აპარატით. სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების გამომუშავება.

მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარებისა და საქმიანი თამაშების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლება წარიმართება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სწავლების მეთოდებით. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების,

დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11 –21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა
სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლი ს უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული
სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

X. სასწავლო გეგმა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), მოიცავს 152 კვირას, 6000 საათს და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი – შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისაგან. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. ერთი კრედიტი

უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების სილაბუსებში მითითებულია: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი (ავტორები), ლექტორი (ლექტორები), სასწავლო კურსის კოდი, სასწავლო კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა ECTS, სასწავლო კურსის მიზნები, და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია/პირობები.

ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსები / მოდულები									
საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები									
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ლექტორები
			სულ	ლექცია	მუშაობა ჯგუფში/სემინარი/პრაქტიკული				
	უცხო ენა 1	5	125	0	90	35	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
	უცხო ენა 2	5	125	0	90	35	უცხო ენა 1	II გაზაფხულის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
	უცხო ენა 3	5	125	0	90	35	უცხო ენა 2	III შემოდგომის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
	უცხო ენა 4	5	125	0	90	35	უცხო ენა 3	IV გაზაფხულის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	5	125	30	30	65	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	თ. ზერეკიძე
	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2	5	125	30	30	65	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	II გაზაფხულის	თ. ზერეკიძე

	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	5	125	30	45	50	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	II გაზაფხულის	ო. ფურთუხია
	მიკროეკონომიკის პრინციპები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ე. მექვაბიშვილი მ. ნაცვალაძე
	მაკროეკონომიკის პრინციპები	5	125	15	30	80	მიკროეკონომიკის პრინციპები	II გაზაფხულის	ე. მექვაბიშვილი მ. ნაცვალაძე
სულ:		**45**							
თავისუფალი კრედიტები (სასწავლო კურსები / მოდულები)									
კოდი	**კურსის/მოდულის სახელწოდება**	**ECTS კრედიტები**	**საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა**			**დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა**	**საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)**	**ლექტორი/ლექტორები**
			სულ	**ლექცია**	**სემინარი/პრაქტიკული**				
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი საგანი, მათ შორის:	5	125	15	30	80		I შემოდგომის V შემოდგომის	
		5	125	15	30	80			

	ქართულენოვანი სასწავლო კურსები								
	ლიდერობა-მართვის ხელოვნება	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე		ნ. ხარაძე, ე. გულუა
	C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში	5	125	15	30	80	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში; მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2; სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1		დ. სიჭინავა რ. ბერაძე
	ფინანსური ანგარიშგება	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე		ნ. კვატაშიძე
	ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ''ბალანსი"	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე		ნ. სრესელი
	შიდა აუდიტი	5	125	15	30	80	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები		ლ. საბაური
	მმართველობითი ანალიზი *(გათვალისწინებული არ არის „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის"*	5	125	15	30	80	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები		მ. ჯიქია

	მოდულის სტუდენტებისთვის)								
	აკადემიური წერა	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე		გ. შაბაშვილი
	ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის)								
	ოპერაციათა მენეჯმენტი (Operations management)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ე. ჩოხელი დ. ნიჟარაძე
	საერთაშორისო მენეჯმენტი (International management) -	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		დ. ნარმანია ე. ჩოხელი დ. ნიჟარაძე
	ლიდერობა (Leadership)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ნ. ხარაძე ე. გულუა
	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები (Fundamentals of Accounting)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ე. ხარაბაძე ი. მამუკელაშვილი
	ფინანსური აღრიცხვა (Financial Accounting)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ნ. სრესელი რ. სრესელი
	აუდიტი (Audit)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ლ. საბაური ქ. ყარაულაშვილი
	ფინანსური ინსტიტუტები	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		თ. გამსახურდია

	და ბაზრები (Financial Institutions and Markets)								
	კორპორაციათა ფინანსები (Corporate Finance)	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; ინგლისური ენა B2		თ. კბილაძე
	საჯარო ფინანსები (Public Finance)	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; ინგლისური ენა B2		თ. კასრაძე
	მარკეტინგის პრინციპები (Principles of Marketing)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ნ. თოდუა ჩ. ჯაში
	ტურიზმის საფუძვლები (Tourism Basics)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		ი. ხელაშვილი ნ. კაციტაძე ვ. არღუთაშვილი ნ. მაისურაძე
	სტრატეგიული მენეჯმენტი მასპინძლობაში (Hospitality Strategic Management)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		მ. ხოხობაია
	საერთშორისო ტურიზმი (International Tourism)	5	125	15	30	80	ინგლისური ენა B2		მ. ხოხობაია ვ. არღუთაშვილი ნ. მაისურაძე
	ინფორმატიკა	5	125	0	45	80	ინგლისური ენა B2		დ. სიჭინავა

	ეკონომიკასა და ბიზნესში (Informatics in Economics and Business)								რ. სეთურიძე თ. მელქოშვილი მ. ტიკიშვილი
სულ:		**10**							
მაპროფილებელი სასწავლო კურსები / მოდულები									
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული				
	სავალდებულო სასწავლო კურსები								
1	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	თ. შენგელია უ. სამადაშვილი
2	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	II გაზაფხულის	თ. შენგელია უ. სამადაშვილი
3	ბუღალტრული აღრიცხვის	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. ხარაბაძე

	საფუძვლები								
4	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	5	125	15	30	80	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	III შემოდგომის	ს. გელაშვილი
5	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2	5	125	15	30	80	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის 1	IV გაზაფხული	ს. გელაშვილი ქ. მარშავა მ. მინდორაშვილი მ. ხმალაძე ნ. აბესაძე
6	ფინანსური აღრიცხვა	10	250	30	60	160	ბუღალტერიული აღრიცხვის საფუძვლები	III შემოდგომა	ე. ხარაბაძე
7	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხული	დ. ნარმანია ე. ჩოხელი
8	მარკეტინგი 1	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხული	ნ. თოდუა
9	მარკეტინგი 2	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	V შემოდგომა	ნ. თოდუა
10	საერთაშორისო მარკეტინგი	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VI გაზაფხული	ნ. თოდუა
11	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	V შემოდგომა	ა. ჩუთლაშვილი ხ. ბარბაქაძე
12	კორპორაციათა ფინანსები	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	VI გაზაფხული	ხ. ბარბაქაძე
13	საჯარო ფინანსები	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	VII შემოდგომა	მ. ჩიკვილაძე ე. ჯგერენაია ი. არჩვაძე თ. კასრაძე

14	ოპერაციათა მენეჯმენტი	5	125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	V შემოდგომა	ე. ჩოხელი ბ. რამიშვილი
15	ადამიანური რესურსების მართვა	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VI გაზაფხული	ნ. პაიჭაძე ნ. ხარაძე
16	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	5	125	0	45	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომა	დ. სიჭინავა რ. სეთურიძე თ. მელქოშვილი ვ. გოგიჩაიშვილი მ. ტიკიშვილი გ. ნაკაშიძე
17	ბიზნესის სამართალი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VI გაზაფხული	ვ. ზაალიშვილი
18	საერთაშორისო ბიზნესი	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2	VII შემოდგომა	თ. შენგელია უ. სამადაშვილი ხ. ბერიშვილი
სულ		**95**							
	არჩევითი მოდულები (შვიდი მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს)								
1	მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	
2	მოდული: მარკეტინგი	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	
3	მოდული: მენეჯმენტი	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	
4	მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	

5	მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	
6	მოდული: საერთაშორისო ბიზნესი	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	
7	მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი	25						VII შემოდგომა VIII გაზაფხული	
	მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი								
1	ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	5	125	15	30	80	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	VII შემოდგომა	ი. ჭილაძე
2	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	5	125	15	30	80	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	VII შემოდგომა	მ. ვარდიაშვილი
3	ეკონომიკური ანალიზი	5	125	15	30	80	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	VIII გაზაფხული	მ. ჯიქია
4	აუდიტის საფუძვლები	5	125	15	30	80	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	VIII გაზაფხული	ნ. სრესელი

5	მმართველობითი აღრიცხვა I	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VIII გაზაფხული	ი. ჭილაძე
სულ		**25**							
	მოდული: მარკეტინგი								
1	მარკეტინგული კვლევის პრინციპები	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VII შემოდგომა	ე. ურუტაძე
2	საცალო ვაჭრობა	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VIII გაზაფხული	ნ. თოდუა ბ. მღებრიშვილი
3	რეკლამა	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VIII გაზაფხული	ჩ. ჯაში
4	ინტერნეტ მარკეტინგი	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VII შემოდგომა	ნ. თოდუა
5	გაყიდვების საფუძვლები	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VIII გაზაფხული	ნ. თოდუა მ. სეთური
სულ		**25**							
	მოდული: მენეჯმენტი								
1	პრაქტიკული მენეჯმენტი	5	125	15	30 (26+4)	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ე. ჩოხელი
	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები		125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	VII შემოდგომა	ე. ჩოხელი გ. ღაღანიძე ბ. რამიშვილი
2	ორგანიზაციული ქცევა	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ნ. ფარესაშვილი

	კროს-კულტურული მენეჯმენტი		125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ნ. ფარესაშვილი
3	პროექტების მართვა	5	125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	VIII გაზაფხული	გ. ქეშელაშვილი გ. შიხაშვილი ვ. კიკუტაძე
4	საზოგადოებრივი ადმინისტრირება	5	125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	VIII გაზაფხული	ვ. კიკუტაძე
	მმართველობითი კონსალტინგი		125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VIII გაზაფხული	ჟ. თოლორდავა
5	საერთაშორისო მენეჯმენტი	5	125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	VIII გაზაფხული	დ. ნარმანია ე. ჩოხელი
სულ		**25**							
	მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე								
1	საბანკო საქმე 1	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	VII შემოდგომა	ი. კოვზანაძე
2	საბანკო საქმე 2	5	125	15	30	80	საბანკო საქმე 1	VIII გაზაფხული	ი. კოვზანაძე
3	სადაზღვევო საქმე	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	VII შემოდგომა	ნ. კაკაშვილი
4	გადასახადები და დაბეგვრა	5	125	15	30	80	ფინანსური ინსიტიტები და ბაზრები	VIII გაზაფხული	მ. ჩიკვილაძე ნ. კაკაშვილი
5	ფასიანი	5	125	15	30	80	ფინანსური	VIII გაზაფხული	ხ. ბარბაქაძე

	ქაღალდების ბაზარი						ინსტიტუტები და ბაზრები		დ. ასლანიშვილი
სულ		**25**							
	მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი								
1	შესავალი ტურიზმში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ნ. კაციტაძე ი.ხელაშვილი
2	ტურიზმის ეკონომიკა	5	125	15	30	80	მაკროეკონომიკის პრინციპები	VII შემოდგომა	მ. ხოხობაია
3	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VIII გაზაფხული	ნ. კაციტაძე
4	ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VIII გაზაფხული	ვ. არღუთაშვილი
5	საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VIII გაზაფხული	ვ. არღუთაშვილი
სულ		**25**							
	მოდული: საერთაშორისო ბიზნესი								
1	ევროკავშირის ბიზნესის გარემო	5 (არჩევითი)	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	VII შემოდგომა	ლ. ყორღანაშვილი
	საქმიანი თამაშები		125	15	30	80	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2;	VII შემოდგომა	ჟ. თოლორდავა

							ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2; მიკროეკონომიკის პრინციპები		
2	საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება	5	125	15	30	80	ბიზნესის ადინისტრირების საფუძვლები 2	VII შემოდგომა	თ.შენგელია ლ. ხიხაძე
3	საერთაშორისო ბიზნესის მართვა	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	VIII გაზაფხული	ხ. ბერიშვილი
4	ორგანიზაციის თეორია	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VIII გაზაფხული	ლ. ქადაგიშვილი
5	კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	VIII გაზაფხული	ლ. ქადაგიშვილი გ. ბედიანაშვილი
სულ		**25**							
	მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი								
1	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება VB.NET	5	125	15	30	80	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	VII შემოდგომა	ზ. მუნჯიშვილი
2	საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ბიზნესში	5	125	15	30	80	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	VIII გაზაფხული	მ. მაღრაძე
3	ეკონომიკური	5	125	15	30	80	ინფორმატიკა	VII შემოდგომა	ე. ლაგვილავა

	საინფორმაციო სისტემების თეორია და დაპროექტება						ეკონომიკასა და ბიზნესში		
4	მონაცემთა ბაზე-ბის დაპროექტება და მართვა	5	125	15	30	80	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	VIII გაზაფხული	თ. მელქოშვილი ც. ჯაფიაშვილი
5	ფირმის მონაცემების ელექტრონული დამუშავება	5	125	15	30	80	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	VIII გაზაფხული	მ. მაღრაძე
სულ		**25**							
	დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები								
სულ		60 (10 კრედიტი თითოე-ულ სემესტრში)						III,V,VII შემოდგომა IV,VI,VIII გაზაფხული	
პრაქტიკა									

		ECTS კრედიტები	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	პრაქტიკის სტატუსი (სავალდებულო /არჩევითი)	დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი/ სემესტრები	პრაქტიკის ხელმძღვანელი
	პრაქტიკა	**5**	75			50	სავალდებულო	ა) სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში ბ) შესაბამისი მოდულის 5 კრედიტი	VIII გაზაფხული	
საბაკალავრო ნაშრომი										
	საბაკალავრო ნაშრომი	ECTS კრედიტები	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი)	დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი/ სემესტრები	საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელები
	-	-	-			-	-	-	-	-
სულ ძირითად სპეციალობაზე		**180**								
დამატებითი სპეციალობა		**60**								

სულ:	**240**							

XI. პროგრამის ხელმძღვანელები

პროფესორი:	/ნ. თოდუა/
პროფესორი:	/ი. კოვზანაძე/
პროფესორი:	/დ. ნარმანია/
პროფესორი:	/ლ. საბაური/
პროფესორი:	/დ. სიჭინავა/
პროფესორი:	/თ. შენგელია/
პროფესორი:	/ი. ხელაშვილი/

XII. დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაერთოს ბიზნეს-საქმიანობის პროცესში და დაიკავოს ქვედა და საშუალო რგოლის მენეჯერის თანამდებობა ნებისმიერი სფეროს საერთაშორისო და ეროვნულ ფირმებში. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია: ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები (მათ შორის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მარკეტინგული ფირმები და ა.შ.), რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის დასაქმების სფეროებია: ინფორმაციულ–ანალიზური, საწარმოო–გასაღებითი, ეკონომიკურ–მმართველობითი საქმიანობა, კერძოდ, ორგანიზაციების (ფირმების) საქმიანობის სრტატეგიული და ოპერაციული გეგმების ეკონომიკურ დასაბუთებასა და შემუშავებაში მონაწილეობა, საწარმოს ფუნქციონირების ფინანსურ–ეკონომიკური ანალიზის ჩატარებასა და მარკეტინგის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვ.

XIII. სწავლის საფასური

სწავლების საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელებში და შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის.

XIV. სწავლის გაგრძელების საშუალება

საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

XV. დამატებითი სპეციალობა „ბიზნესის ადმინისტრირება (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)

დამატებითი სპეციალობა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) წარმოადგენს ძირითადი მაპროფილებელი სპეციალობის შემოკლებულ ვარიანტს და იმგვარადაა შედგენილი, რომ სტუდენტებს მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საქმიანობისათვის საჭირო კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე მათ დასაქმებას.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და/ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

ა) პროგრამის მოცულობაკრედიტებით და მათი განაწილება: 60 ECTS კრედიტი

60 კრედიტი ასე ნაწილდება: 10 კრედიტი თითოეულ სემესტრში. III, IV, V, VI, VII, VIII სემესტრებში.

ბ) **სწავლების ენა:** ქართული

გ) დამატებითი სპეციალობა „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიზნები:

1) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) ფინანსური აღრიცხვის ძირითადი კონცეფციების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპების, კომპონენტების თავისებურებებისა და ურთიერთკავშირის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებისა და შეფასების საკითხების შესწავლა.
2) მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ცოდნის მიღება და მმართველობითი უნარ-ჩვევების დაუფლება მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების, პრინციპების, მიდგომებისა და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების შესწავლით.
3) საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობაში მარკეტინგის გამოყენების შესახებ საბაზისო ცოდნის დაუფლება და მარკეტინგის ძირითად პრინციპების გაცნობა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ გაგება მარკეტინგზე, როგორც კომერციული წარმატების მიღწევის ინსტრუმენტზე.
4) ფირმის (ორგანიზაციის) საქმიანობაში მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების (პროდუქტის, ფასის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის) გამოყენებისა და მიზნობრივ მომხმარებლებზე ორიენტირებული შესაბამისი მარკეტინგული გადაწყვეტილებების შემუშავებისათვისგაღრმავებული ცოდნის მიღება.
5) საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციებისა და საგარეო ბაზარზე მათი გამოყენების ხეხების დაუფლება.
6) ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების შესახებ საბაზისო ცოდნის, მათი საქმიანობის მართვაში ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და გადაწყვეტილებების მიღების ხერხების დაუფლება.

7) კორპორაციათა ფინანსების საბაზო კონცეფციების შესწავლა, კორპორაციის საფინანსო პოლიტიკა, მათი ურთიერთობა საფინანსო ბაზრის მონაწილეებთან. ასევე კორპორაციათა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, დაგეგმვისა და შედეგების პროგნოზირების მნიშვნელობის გაცნობიერება და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი საფინანსო ინსტრუმენტების შესწავლა.
8) საჯარო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები, ძირითადი აქცენტები გადატანილ უნდა იქნას სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკურ საფუძვლებზე, სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირებაში საჯარო ფინანსების როლზე, სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც საჯარო ფინანსების უმნიშვნელოვანესი მექანიზმის, ფისკალური პოლიტიკის, საბიუჯეტო სისტემის აგება-ფუნქციონირების არსსა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.

9) ოპერაციათა მენეჯმენტის დანიშნულებისა და ორგანიზაციაში მისი როლის შესახებ საბაზისო ცოდნის დაუფლება, ოპერაციათა მენეჯმენტის, როგორც გამოყენებითი სამეცნიერო დისციპლინის მნიშვნელობისა და კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტის შემეცნება.
10) ადამიანური რესურსების მენეჯმენტთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და თეორიული ბაზის შესწავლა, შრომითი ურთიერთობების მართვის უნარების გამომუშავება პერსონალზე მოთხოვნის განსაზღვრის, მოზიდვის, შერჩევის, ატესტაციის ორგანიზებისა და მისი ჩატარების პროცედურებისა და პერსონალის ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით.
11) ჩამოუყალიბოს სტუდენტებს საერთაშორისო ასპარეზზე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ თანამედროვე და ფართო ცოდნა.

დ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა.

ე) სწავლის შედეგები:

1. ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს ეცოდინება:

1.1 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების დახასიათება, მისი ელემენტების იდენტიფიცირება და შეფასება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფინანსური აღრიცხვის წარმოების პროცესში ძირითადი პრინციპების შერჩევა, საწარმოების საქმიანობის შეფასებისა და სათანადო ღონისძიებების დასახვისათვის ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენება.

1.2 მენეჯმენტის თეორიებისა და მიდგომების ჩამოყალიბება, მენეჯმენტის პრინციპების ჩამოთვლა, მენეჯმენტის ფუნქციების დანიშნულება და ძირითადი დებულებები. გუნდის ფორმირებისა და მართვის მეთოდების შერჩევა. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტების განსაზღვრა. მენეჯმენტის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატვა.

1.3 მარკეტინგის ფუნდამენტური დებულებებისა და თანამედროვე კონცეფციების ჩამოყალიბება, სტრატეგიული მარკეტინგის ზოგადი პრინციპების ჩამოთვლა, მარკეტინგული გარემოს აღწერა, მარკეტინგული კვლევის მეთოდების შერჩევა, მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების დემონსტრირება, მომხმარებლებისა და ბიზნესმყიდველების ქცევის თავისებურებების გამოკვეთა, ბაზრის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა, კონკურენტული სტრატეგიისა და გლობალური ბაზრის ფუძემდებლური კონცეფციების ფორმულირება, მარკეტინგის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის ილუსტრირება.

1.4 მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების (პროდუქტის, ფასის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის) დეტალურად აღწერა, შესაბამისი მარკეტინგული გადაწყვეტილებების ფორმულირება და ორგანიზაციის საქმიანობასთან მათი მისადაგება.

1.5 საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციის ფორმულირება, საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა, ფირმების ინტერნაციონალიზაციის ეტაპებისა და მოდელების ჩამოთვლა, საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს ფაქტორების განხილვა,საერთაშორისო მარკეტინგული კვლევის მეთოდების აღწერა, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტებისგანსაზღვრა, საგარეო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების შეფასება, საერთაშორისო სასაქონლო, საფასო, კომუნიკაციური და დისტრიბუციული პოლიტიკის თავისებურებების დეტალურად ჩამოყალიბება.

1.6 ფინანსური სისტემისა და ინსტიტუტების თანამედროვე მოდელები, ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვა, ფინანსური სისტემისა და ფინანსური ბაზრების ზოგადი დახასიათება, კაპიტალის ბაზრების ეფექტიანობის შეფასება, საბანკო საქმისა და ფინანსური მენეჯმენტის როლის გამოკვეთა, ფინანსური ინსტიტუტებში რისკის გამოვლენის თავისებურებანი, საფინანსო სფეროში ფუნქციონირებად ინსტიტუტებში და ბაზრებში მართვის სისტემები: მიზნები, სტრუქტურა, მმართველობითი ფუნქციები და კომპეტენციები, გლობალური ფინანსური ბაზრების თანამედროვე ტენდენციები და გამოვლენის ფორმები;

1.7 კორპორაციათა ფინანსების როლის განსაზღვრა, დროში ფულის ღირებულების აღწერა, გრძელვადიანი სესხის განმარტება, ობლიგაციების ტიპები კლასიფიცირება და მათი შეფასება, აქციების ტიპების კლასიფიცირება და მათი შეფასება, რისკის, შემოსავლიანობისა და ალტერნატიული დანახარჯების შეფასება, კაპიტალის სტრუქტურის წარმოდგენა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მართვის პრინციპების ჩამოყალიბება, კორპორაციის რესტრუქტურიზაციის ფინანსური ასპექტების განხილვა;

1.8 ფინანსებისა და ბიუჯეტის თეორიის სფეროში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტება, სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების განსაზღვრა, საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპები და ბიუჯეტის დაგეგმვის აღწერა, სახელმწიფო შემოსვლებისა და მათი განაწილების პრინციპები, საზოგადოებრივი საქონელი და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობები, საბიუჯეტო ფედერალიზმის, ტრანსფერტებისა და გრანტების ბუნება, ბიუჯეტის დეფიციტის წარმოშობის მიზეზები და დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის მართვის მეთოდები;

1.9 ოპერაციათა მენეჯმენტთან დაკავშირებული ტერმინები და ცნებები. ოპერაციათა მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება. ოპერაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების ჩამოთვლა და ინსტრუმენტების შერჩევა. ოპერაციული სტრატეგიების კონცეფციების ფორმულირება

1.10 ადამიანური რესურსების მენეჯმენტის როლის გამოკვეთა, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და პრინციპების ჩამოთვლა, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციების ჩამოყალიბება, ადამიანური რესურსების სფეროში სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება.

1.11 საერთაშორისო ბიზნესის არსი, მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, ძირითადი ცნებები, მნიშვნელობა და მისი განსხვავება საშინაო ბიზნესისაგან; საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ამოსავალი ფორმების, თეორიები და კონცეფციები; საერთაშორისო საქმიანი აქტიურობის სუბიექტები, საერთაშორისო ბიზნესში შესვლის ფორმები და მათი ღირსება-ნაკლოვანებანი; მსოფლიო ბაზრები, ბიზნეს-აქტივობის ცენტრები და ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები; საერთაშორისო ბიზნეს-გარემო და მისი სტრუქტურული ელემენტები, ტრანსეროვნული კომპანიების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტის, არსი, კლასიფიკაცია და სტრატეგიები; საერთაშორისო სავალუტო სისტემის როლი ხელსაყრელი პირობების შექმნაში საერთაშორისო ვაჭრობისათვის და საერთაშორისო ინვესტიციებისათვის; საერთაშორისო ბიზნესის სახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტს შეეძლება:

2.1. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების კრიტერიუმებისა და შეფასების შერჩეული მეთოდების დასაბუთება. სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადება.

2.2. ორგანიზაციაში მენეჯმენტის როლის გამოხატვა, ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოში არსებული ფაქტორების იდენტიფიცირება და ორგანიზაციაზე გავლენის შეფასება, ბიზნეს-გეგმის მომზადება, ორგანიზაციული დაპროექტება და ცვლილებების მართვა, კონფლიქტების გამოვლენა და მართვა, ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა, მოტივაციის მექანიზმების შემუშავება, კონტროლის პროცესში შესაბამისი მეთოდების შერჩევა, საზღვარგარეთ გამოყენებული მენეჯმენტის მეთოდებისა და მენეჯერების თანამედროვე მიღწევების გამოყენება.

2.3. ბიზნესის მართვის სფეროში მარკეტინგის როლისდემონსტრირება, მარკეტინგული გამოკვლევა, მარკეტინგის გეგმის მომზადება, მარკეტინგული გარემოს დახასიათება, მომხმარებლებისა და ბიზნესმყიდველებისქცევის თავისებურებების გამოცნობა, ბაზრის სეგმენტაცია და მიზნობრივი სეგმენტების გამოვლენა, კონკურენტების გამოკვლევა და კონკურენტული სტრატეგიის შერჩევა, საგარეო ბაზრისათვის ძირითადი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება, ბიზნესის მართვასთანმარკეტინგის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის დაკავშირება.

2.4. პროდუქტის, მომსახურებისა და ბრენდინგის სტრატეგიის შექმნა, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სტადიების შესაბამისიმარკეტინგული ღონისძიებებისმომზადება, ახლი პროდუქტის მარკეტინგული გეგმის კონსტრუირება,

ფასწარმოქმნის სტრატეგიის შემუშავება, პროდუქტის განაწილების სისტემის შერჩევა, მარკეტინგული კომუნიკაციების შემუშავება, სარეკლამო პროგრამის შედგენა, საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა, პერსონალური გაყიდვების, გასაღების სტიმულირებისა და პირდაპირი მარკეტინგის გამოყენება ბიზნესში.

2.5. ფირმის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება,საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურისა და დამახასიათებელი ნიშნებისილუსტრირება,ფირმების ინტერნაციონალიზაციის მიზეზების გამოცნობა, საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს დახასიათება, საერთაშორისო მარკეტინგული გამოკვლევა, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტების შეფასება, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის მეთოდების შერჩევა, საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების შემუშავებაში მონაწილეობა.

2.6. საფინანსო სფეროში საქმიანობის სიტუაციის შესაბამისად ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, ვითარების ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება, საფინანსო ოპერაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობა; საფინანსო სფეროში რისკის გამოვლენა და მართვა, საფინანსო სფეროში ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, დამუშავება და გამოყენება, ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოცნობა და გადაწყვეტა, საბანკო მენეჯმენტის ზოგადი პრინციპების, ასევე საბანკო რისკების ძირითადი სახეების შეფასება, ფულად–საკრედიტო პოლიტიკისა და საერთაშორისო პრობლემების დაკავშირება;

2.7. კორპორაციის მართვის პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოცნობა, კორპორაციული ფინანსების კონსტრუირება, კორპორაციისათვის დროის მიხედვით ფულის ღირებულების შეფასება, მიმდინარე ღირებულებისა და ალტერნატიული დანახარჯების განსაზღვრა, საინვესტიციო პორტფელისათვის დამახასიათებელი რისკის მართვა, კორპორაციის კაპიტალის ფორმირება, კორპორაციის რესტრუქტურიზაციისათვის ფინანსური ბერკეტის გამოყენება;

2.8. ფინანსების სფეროში ახალი დოკუმენტებისა და სტატისტიკური მასალების მოძიება და შეფასება, საქართველოში საფინანსო ურთიერთობათა ძირითადი ტენდენციების გამოცნობა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური სიტუაციისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების მუხლების დაკავშირება, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ახსნა, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირებისა და საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმების შერჩევა;

2.9. კომპანიის ოპერაციული სტრატეგიის შემუშავება და ოპერაციათა მენეჯმენტის ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღება, პროდუქტის ან მომსახურების დაპროექტება და შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესის შერჩევა, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების იდენტიფიცირება და სწრაფად ცვალებად სფეროში ორიენტირება, სიმძლავრეების სტრატეგიული დაგეგმვა, სამრეწველო ობიექტების განლაგების ადგილის განსაზღვრა, საწარმოო და საოფისე ფართის დაგეგმვა და დანადგარების ოპტიმალური განთავსება, ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების გამოყენება, სამუშაო ძალაზე საწარმოს მოთხოვნილების დადგენა და მისი ხარისხობრივი სრულყოფისა და რაოდენობრივი შევსების გზების დასახვა, მატერიალური და არამატერიალური ნაკადების დაგეგმვა და მართვა კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე.

2.10. ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მომზადება, ორგანიზაციის ქცევის მართვისა და საქმიანობის შეფასება,

პროგრესული ტექნოლოგიების საფუძველზე პერსონალის შერჩევა, დაქირავება და მასთან მუშაობა, პერსონალის ატესტაციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა, პერსონალის დაგეგმვა და განვითარების მართვა.

2.11 საერთაშორისო ბიზნესის საბაზისო ტერმინოლოგიითა და ცნებითი აპარატურით სწორად სარგებლობა; საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათთან დაკავშირებული ინფორმაციული რესურსების მოძიება, ღრმა ანალიზი, ობიექტური შეფასება, გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებში თავისუფლად ორიენტირება და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება; სხვადასხვა კულტურათა და სუბკულტურათა წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის ხერხებისა და მეთოდების ფლობა; ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის მოტივების გააზრება; უცხოურ ბაზარზე შესვლის ფორმების ღირსება-ნაკლოვანებების ანალიზი და კონკრეტულ სიტუაციაში მათგან ოპტიმალურის შერჩევა; საერთაშორისო საქმიანობაში კომპანიის სტრატეგიასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება; საერთაშორისო ბიზნესში მარკეტინგ-მენეჯმენტის თავისებურებების დახასიათება; საერთაშორისო ოპერაციული მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის ურთიერთკავშირის ანალიზი; საშინაო და საერთაშორისო ფირმებში ადამიანისეული რესურსების მართვის განმასხვავებელი ნიშნების დახასიათება და კომპეტენციის ფარგლებში ოპტიმალური მმართველური გადაწყვეტილების მიღება; იმ შესაძლებლობებისა და საფრთხეების გააზრება, რომელიც იხსნება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ; საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებული კითხვების დასმა და მათზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; საერთაშორისო ბიზნეს-ინფორმაციის მოძიება და გადმოცემა; საერთაშორისო ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ჯეროვანი კომენტირება.

3. დასკვნის უნარი.

სტუდენტს შეეძლება:

3.1 აბსტრაქტული აზროვნება;
3.2 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
3.3 ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლების იდენტიფიკაცია, გამოცალკავება და ერთმანეთთან შედარება;
3.4 ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეპირისპირება და შეფასება;
3.5 ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამორჩევა;
3.6 ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტირება;
3.7 ახალი ინფორმაციის განზოგადება;
3.8 შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
3.9 გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადება;
3.10 არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ოპერაციულ ან ტაქტიკურ დონეზე;
3.11 შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვა;
3.12 განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა;
3.13 ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი.

სტუდენტს შეეძლება:

4.1. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება,
4.2. ბიზნესის დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და უცხოურ ენაზე;
4.3. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
4.4. საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს–ტერმინოლოგიის გამოყენებით;
4.5. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
4.6. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
4.7. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;

5. სწავლის უნარი.

სტუდენტს შეეძლება:

5.1. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
5.2. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
5.3. ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება;

6. ღირებულებები.

სტუდენტს ექნება შემდეგი ღირებულებები:

6.1. ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
6.2. ეთიკური ნორმების დაცვა;
6.3. სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
6.4. თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული პრობლემების გათავისება და დემონსტრირება.

ე) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

დამატებითი სპეციალობა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სხვა აქტიური მეთოდები. სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, აგრეთვე დასაუფლებელი დისციპლინის ცნებობრივი აპარატით. სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების გამომუშავება.

მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარებისა და საქმიანი თამაშების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლება წარიმართება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სწავლების მეთოდებით. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

3) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11 –21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით)

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა
სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვ
ლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული
სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ზ) დამატებითი სპეციალობა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსები / მოდულები									
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული				
1	ფინანსური აღრიცხვა	10	250	30	60	160	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	III შემოდგომა	ე. ხარაბაძე
2	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	V შემოდგომა	დ. ნარმანია ე. ჩოხელი
3	მარკეტინგი 1	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხული	ნ. თოდუა
4	მარკეტინგი 2	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	V შემოდგომა	ნ. თოდუა
5	საერთაშორისო მარკეტინგი	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VI გაზაფხული	ნ. თოდუა

6	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხული	ა. ჩუთლაშვილი ხ. ბარბაქაძე
7	კორპორაციათა ფინანსები	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	VI გაზაფხული	ხ. ბარბაქაძე
8	საჯარო ფინანსები	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	VIII გაზაფხული	მ. ჩიკვილაძე ე. ჯგერენაია ი. არჩვაძე ი. კასრაძე
9	ოპერაციათა მენეჯმენტი	5	125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	VIII გაზაფხული	ე. ჩოხელი ბ. რამიშვილი
10	ადამიანური რესურსების მართვა	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ნ. პაიჭაძე ნ. ხარაძე
11	საერთაშორისო ბიზნესი	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები (10 კრედიტი ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის ან 5 კრედიტი ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის)	VII შემოდგომა	თ. შენგელია უ. სამადაშვილი ხ. ბერიშვილი
სულ:		**60**							

თ) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი იოსებ ხელაშვილი.

ი) **დასაქმების სფეროები** - დამატებითი სპეციალობა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს დასაქმდეს ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით

XVI. დამატებითი სპეციალობა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)

დამატებითი სპეციალობა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) წარმოადგენს ძირითადი მაპროფილებელი სპეციალობის შემოკლებულ ვარიანტს და იმგვარადაა შედგენილი, რომ სტუდენტებს მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე მათ დასაქმებას.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და/ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

ა) პროგრამის მოცულობაკრედიტებით და მათი განაწილება: 60 ECTS კრედიტი

60 კრედიტი ასე ნაწილდება: 10 კრედიტი თითოეულ სემესტრში. III, IV, V, VI, VII, VIII სემესტრებში.

ბ) **სწავლების ენა:** ქართული

გ) დამატებითი სპეციალობა „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიზნები:

1) მსოფლიო გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და სამამულო პირობებისა თავისებურებების გათვალისწინებით სტუდენტებს მიეცეს თანამედროვე, ფართო ცოდნა, გამოუმუშავდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის არსის, ორგანიზება-მართვის (ადმინისტრირების) დარგში და გაფართოვდეს მათი შესაძლებლობანი ამ სფეროში.
2) სამამულო და საზღვარგარეთის გამოცდილების შესაბამისად სტუდენტს მიეცეთ ფართო ცოდნა ბიზნესის ცალკეული ფუნქციების, მათი მოქმედებისა მექანიზმის შესახებ.

3) მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ცოდნის მიღება და მმართველობითი უნარ-ჩვევების დაუფლება მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების, პრინციპების, მიდგომებისა და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების შესწავლით.
4) ოპერაციათა მენეჯმენტის დანიშნულებისა და ორგანიზაციაში მისი როლის შესახებ საბაზისო ცოდნის დაუფლება, ოპერაციათა მენეჯმენტის, როგორც გამოყენებითი სამეცნიერო დისციპლინის მნიშვნელობისა და კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტის შემეცნება.
5) ბუღალტრული აღრიცხვის არსის, ამოცანების, საგნის და მეთოდის შესწავლა; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატების, მარეგულირებელი ორგანოების გაცნობა; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი სისტემის, ბალანსირების პრინციპების, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სრული ციკლის სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციიდან – ფინანსური ანგარიშგების მომზადების ზოგადი წესების შესახებ ცოდნის დაუფლება
6) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) ფინანსური აღრიცხვის ძირითადი კონცეფციების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპების, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების, შეფასებისა და აღრიცხვის საკითხების შესწავლა.
7) საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობაში მარკეტინგის გამოყენების შესახებ საბაზისო ცოდნის დაუფლება და მარკეტინგის ძირითად პრინციპების გაცნობა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ გაგება მარკეტინგზე, როგორც კომერციული წარმატების მიღწევის ინსტრუმენტზე.
8) ფირმის (ორგანიზაციის) საქმიანობაში მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების (პროდუქტის, ფასის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის) გამოყენებისა და მიზნობრივ მომხმარებლებზე ორიენტირებული შესაბამისი მარკეტინგული გადაწყვეტილებების შემუშავებისათვისგაღრმავებული ცოდნის მიღება.
9) საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციებისა და საგარეო ბაზარზე მათი გამოყენების ხეხების დაუფლება (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში)
10) ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების შესახებ საბაზისო ცოდნის, მათი საქმიანობის მართვაში ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და გადაწყვეტილებების მიღების ხერხების დაუფლება.
11) კორპორაციათა ფინანსების საბაზო კონცეფციების შესწავლა, კორპორაციის საფინანსო პოლიტიკა, მათი ურთიერთობა საფინანსო ბაზრის მონაწილეებთან. ასევე კორპორაციათა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, დაგეგმვისა და შედეგების პროგნოზირების მნიშვნელობის გაცნობიერება და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო

გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი საფინანსო ინსტრუმენტების შესწავლა.

12) საერთაშორისო ასპარეზზე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ თანამედროვე და ფართო ცოდნის დაუფლება (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).
13) ადამიანური რესურსების მენეჯმენტთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და თეორიული ბაზის შესწავლა, შრომითი ურთიერთობების მართვის უნარების გამომუშავება პერსონალზე მოთხოვნის განსაზღვრის, მოზიდვის, შერჩევის, ატესტაციის ორგანიზებისა და მისი ჩატარების პროცედურებისა და პერსონალის ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).
14) საჯარო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები, ძირითადი აქცენტები გადატანილ უნდა იქნას სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკურ საფუძვლებზე, სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირებაში საჯარო ფინანსების როლზე, სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც საჯარო ფინანსების უმნიშვნელოვანესი მექანიზმის, ფისკალური პოლიტიკის, საბიუჯეტო სისტემის აგება-ფუნქციონირების არსსა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებში (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).
15) წარმოების ძირითადი ფაქტორების შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მომზადების პროცედურების, ტექნიკის, წარმოების დანახარჯებისა და შედეგების სისტემური აღრიცხვის მიმართულებების, სხვადასხვა ტიპის საწარმოებში დანახარჯების აღრიცხვის თავისებურებების შესწავლა; აგრეთვე ცალკეული სახის პროდუქციის (მომსახურების) ერთეულის თვითღირებულების კალკულაციის მეთოდიკის გაცნობა (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).

დ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: თსუ-ს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა.

ე) სწავლის შედეგები:

1. ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს ეცოდინება:

1.1 ბიზნესის საფუძვლების ძირითადი ტერმინები, ცნებები, კრიტიკული, პოზიტიური და პრაგმატული კონცეფცია. ინტუიციური და პროცედურული ბიზნესი, ბიზნესზე მოქმედი საბაზრო ძალები, როლი ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური მიზნების მიღწევაში; ეკონომიკური სისტემების ბუნება და ზეგავლენა ბიზნესზე, ქვეყანაში მაკროეკონომიკური ფონის შეფასება და იმის

გარკვევა რამდენად მიზანშეწონილია ამ გარემოში ბიზნესის წარმოება; ბიზნესის მიზანი, მოტივები, სუბიექტები, სახეობები გარემო და მისი გაუმჯობესების გზები; ბიზნეს-იდეის არსი, შემუშავების ხერხები; ბიზნეს-გეგმის რაობა, სახეობები, ფუნქციები და შედგენის ტექნოლოგია, ბიზნესის ორგანიზების ფორმები, მისი რეგისტრაცია. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმე ფიზიკური პირი. რეგისტარციისა და დაბეგვრის თავისებურებანი; ვენჩურული კაპიტალი და ფრანჩაიზინგი, როგორც ბიზნესის ორგანიზაციისა და მსხვილი და მცირე ბიზნესის ურთიერთკავშირის ფორმა.

1.2 მენეჯმენტის, კადრებისა და ადამინური ურთიერთობების არსი და როლი ბიზნესში; ბიზნესის მარკეტინგული უზრუნველყოფა; ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი საქონლისა და მომსახურების წარმოებრივი, ოპერაციული მენეჯმენტი და ლოჯისტიკა; საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი; ბიზნესში გადასახადების სახეები და დაბეგვრის რეჟიმი; სამეწარმეო რისკების განჭვრეტა, შეფასება, პრევენცია და დაზღვევა.

1.3 მენეჯმენტის თეორიებისა და მიდგომების ჩამოყალიბება, მენეჯმენტის პრინციპების ჩამოთვლა, მენეჯმენტის ფუნქციების დანიშნულება და ძირითადი დებულებები. გუნდის ფორმირებისა და მართვის მეთოდების შერჩევა. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტების განსაზღვრა. მენეჯმენტის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატვა.

1.4 ოპერაციათა მენეჯმენტთან დაკავშირებული ტერმინები და ცნებები. ოპერაციათა მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება. ოპერაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების ჩამოთვლა და ინსტრუმენტების შერჩევა. ოპერაციული სტრატეგიების კონცეფციების ფორმულირება

1.5 ბუღალტრული აღრიცხვის ტერმინოლოგიის განმარტება, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების დეტალურად ჩამოყალიბება, საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატების გამოკვეთა, ბუღალტრული აღრიცხვის სრული ციკლის წარმოების წესის აღწერა.

1.6 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების დახასიათება, მისი ელემენტების შეფასება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფინანსური აღრიცხვის წარმოების პროცესში ძირითადი პრინციპების გამოყენება.

1.7 მარკეტინგის ფუნდამენტური დებულებებისა და თანამედროვე კონცეფციების ჩამოყალიბება, სტრატეგიული მარკეტინგის ზოგადი პრინციპების ჩამოთვლა, მარკეტინგული გარემოს აღწერა, მარკეტინგული კვლევის მეთოდების შერჩევა, მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების დემონსტრირება, მომხმარებლებისა და ბიზნესმყიდველების ქცევის თავისებურებების გამოკვეთა, ბაზრის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა, კონკურენტული სტრატეგიისა და გლობალური ბაზრის ფუძემდებლური კონცეფციების ფორმულირება, მარკეტინგის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის ილუსტრირება.

1.8 მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების (პროდუქტის, ფასის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის) დეტალურად აღწერა, შესაბამისი მარკეტინგული გადაწყვეტილებების ფორმულირება და ორგანიზაციის საქმიანობასთან მათი მისადაგება.

1.9 საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციის ფორმულირება, საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა, ფირმების ინტერნაციონალიზაციის ეტაპებისა და მოდელების ჩამოთვლა, საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს ფაქტორების განხილვა,საერთაშორისო მარკეტინგული კვლევის მეთოდების აღწერა, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტებისგანსაზღვრა, საგარეო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების შეფასება, საერთაშორისო სასაქონლო, საფასო, კომუნიკაციური და დისტრიბუციული პოლიტიკის თავისებურებების დეტალურად ჩამოყალიბება (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).

1.10 ფინანსური სისტემისა და ინსტიტუტების თანამედროვე მოდელები, ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვა, ფინანსური სისტემისა და ფინანსური ბაზრების ზოგადი დახასიათება, კაპიტალის ბაზრების ეფექტიანობის შეფასება, საბანკო საქმისა და ფინანსური მენეჯმენტის როლის გამოკვეთა, ფინანსური ინსტიტუტებში რისკის გამოვლენის თავისებურებანი, საფინანსო სფეროში ფუნქციონირებად ინსტიტუტებში და ბაზრებში მართვის სისტემები: მიზნები, სტრუქტურა, მმართველობითი ფუნქციები და კომპეტენციები, გლობალური ფინანსური ბაზრების თანამედროვე ტენდენციები და გამოვლენის ფორმები;

1.11 კორპორაციათა ფინანსების როლის განსაზღვრა, დროში ფულის ღირებულების აღწერა, გრძელვადიანი სესხის განმარტება, ობლიგაციების ტიპები კლასიფიცირება და მათი შეფასება, აქციების ტიპების კლასიფიცირება და მათი შეფასება, რისკის, შემოსავლიანობისა და ალტერნატიული დანახარჯების შეფასება, კაპიტალის სტრუქტურის წარმოდგენა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მართვის პრინციპების ჩამოყალიბება, კორპორაციის რესტრუქტურიზაციის ფინანსური ასპექტების განხილვა;

1.12 ადამიანური რესურსების მენეჯმენტის როლის გამოკვეთა, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და პრინციპების ჩამოთვლა, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციების ჩამოყალიბება, ადამიანური რესურსების სფეროში სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).

1.13 საერთაშორისო ბიზნესის არსი, მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, ძირითადი ცნებები, მნიშვნელობა და მისი განსხვავება საშინაო ბიზნესისაგან; საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ამოსავალი ფორმების, თეორიები და კონცეფციები; საერთაშორისო საქმიანი აქტიურობის სუბიექტები,

საერთაშორისო ბიზნესში შესვლის ფორმები და მათი ღირსება-ნაკლოვანებანი; მსოფლიო ბაზრები, ბიზნეს-აქტივობის ცენტრები და ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები; საერთაშორისო ბიზნეს-გარემო და მისი სტრუქტურული ელემენტები, ტრანსეროვნული კომპანიების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტის, არსი, კლასიფიკაცია და სტრატეგიები; საერთაშორისო სავალუტო სისტემის როლი ხელსაყრელი პირობების შექმნაში საერთაშორისო ვაჭრობისათვის და საერთაშორისო ინვესტიციებისათვის; საერთაშორისო ბიზნესის სახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტები და საერთაშორისო ორგანიზაციები (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).

1.14 ფინანსებისა და ბიუჯეტის თეორიის სფეროში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტება, სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების განსაზღვრა, საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპები და ბიუჯეტის დაგეგმვის აღწერა, სახელმწიფო შემოსვლებისა და მათი განაწილების პრინციპები, საზოგადოებრივი საქონელი და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობები, საბიუჯეტო ფედერალიზმის, ტრანსფერტებისა და გრანტების ბუნება, ბიუჯეტის დეფიციტის წარმოშობის მიზეზები და დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის მართვის მეთოდები (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).

1.15 მმართველობითი აღრიცხვის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საკითხები, დანახარჯების აღრიცხვის ხერხების თავისებურებები, მმართველობითი აღრიცხვის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები, მართვის ალტერნატიული ვარიანტები, ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრა (შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში).

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტს შეეძლება:

2.1. ბიზნესის საფუძვლების ტერმინოლოგიისა და ცნებითი აპარატის სწორად გაგება; საკუთარი სურვილების, მენეჯერული და ბიზნესშესაძლებლობების ობიექტური შეფასება; ბიზნესის მიზნებისა და მოტივების სწორად განსაზღვრა; კონკურენტუპირატესობის მოპოვების ხერხების დემონსტრირება; ბიზნეს-გარემოსა და მისი კომპონენტების ანალიზი; საწარმოოს შექმნის გზებისა და ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება; ფირმების სადამფუძნებლო დოკუმენტების შემუშავება და რეგისტრაციის ტექნოლოგიის განხორციელება; სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-იდეისა და მისი კომერციალიზაციის ბიზნეს-გეგმის შემუშავება და ეფექტიანი რეალიზება.

2.2. ზოგადად ბიზნესისა და კერძოდ პერსონალის საქმიანობის ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი; მიზნობრივი ბაზრის ანუ მომხმარებელთა სეგმენტის დადგენა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასაქონლო, ფასისმიერი, გასაღებისა და სარეკლამო პოლიტიკით; ბიზნესის ხარჯების შემცირების გზების განსაზღვრა და ოპერაციული მენეჯმენტის გონივრული წარმართვა; საგადასახადო, საბანკო და სადაზღვევო

სამსახურებთან დაბალანსებული ურიერთობა; სამეწარმეო რისკების განჭვრეტა, შეფასება, დაზღვევით დანაკარგების მინიმიზება; მიკრო დონეზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, ობიექტური შეფასება და ოპტიმალური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; ბიზნეს-ადმინისტირებაში მიღებული ცოდნის კონკრეტულ სამეურნეო და ყოფით სიტუაციაში პრაგმატული გამოყენება და პირადი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

2.3. ორგანიზაციაში მენეჯმენტის როლის გამოხატვა, ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოში არსებული ფაქტორების იდენტიფიცირება და ორგანიზაციაზე გავლენის შეფასება, ბიზნეს-გეგმის მომზადება, ორგანიზაციული დაპროექტება და ცვლილებების მართვა, კონფლიქტების გამოვლენა და მართვა, ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა, მოტივაციის მექანიზმების შემუშავება, კონტროლის პროცესში შესაბამისი მეთოდების შერჩევა, საზღვარგარეთის მენეჯმენტისა და მენეჯერების თანამედროვე მიღწევების გამოყენება.

2.4. კომპანიის ოპერაციული სტრატეგიის შემუშავება და ოპერაციათა მენეჯმენტის ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღება, პროდუქტის ან მომსახურების დაპროექტება და შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესის შერჩევა, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების იდენტიფიცირება და სწრაფად ცვალებად სფეროში ორიენტირება, სიმძლავრეების სტრატეგიული დაგეგმვა, სამრეწველო ობიექტების განლაგების ადგილის განსაზღვრა, საწარმოო და საოფისე ფართის დაგეგმვა და დანადგარების ოპტიმალური განთავსება, ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების გამოყენება, სამუშაო ძალაზე საწარმოს მოთხოვნილების დადგენა და მისი ხარისხობრივი სრულყოფისა და რაოდენობრივი შევსების გზების დასახვა, მატერიალური და არამატერიალური ნაკადების დაგეგმვა და მართვა კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადი საკითხების შეფასება, მათი გადაჭრის ფორმებისა და მეთოდების შერჩევა; ფინანსური ანგარიშგების მომზადება;

2.6. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების კრიტერიუმებისა და შეფასების შერჩეული მეთოდების დასაბუთება. ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

2.7. ბიზნესის მართვის სფეროში მარკეტინგის როლისდემონსტრირება, მარკეტინგული გამოკვლევა, მარკეტინგის გეგმის მომზადება, მარკეტინგული გარემოს დახასიათება, მომხმარებლებისა და ბიზნესმყიდველებისქცევის თავისებურებების გამოცნობა, ბაზრის სეგმენტაცია და მიზნობრივი სეგმენტების გამოვლენა, კონკურენტების გამოკვლევა და კონკურენტული სტრატეგიის შერჩევა, საგარეო ბაზრისათვის ძირითადი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება, ბიზნესის მართვასთანმარკეტინგის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის დაკავშირება.

2.8. პროდუქტის, მომსახურებისა და ბრენდინგის სტრატეგიის შექმნა, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სტადიების შესაბამისიმარკეტინგული ღონისძიებებისმომზადება, ახლი პროდუქტის მარკეტინგული გეგმის კონსტრუირება, ფასწარმოქმნის სტრატეგიის შემუშავება, პროდუქტის განაწილების სისტემის შერჩევა, მარკეტინგული კომუნიკაციების შემუშავება, სარეკლამო პროგრამის შედგენა, საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა, პერსონალური გაყიდვების, გასაღების სტიმულირებისა და პირდაპირი მარკეტინგის გამოყენება ბიზნესში.

2.9. ფირმის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება,საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურისა და

დამახასიათებელი ნიშნებისილუსტრირება,ფირმების ინტერნაციონალიზაციის მიზეზების გამოცნობა, საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს დახასიათება, საერთაშორისო მარკეტინგული გამოკვლევა, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტების შეფასება, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის მეთოდების შერჩევა, საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების შემუშავებაში მონაწილეობა.

2.10. საფინანსო სფეროში საქმიანობის სიტუაციის შესაბამისად ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, ვითარების ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება, საფინანსო ოპერაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობა; საფინანსო სფეროში რისკის გამოვლენა და მართვა, საფინანსო სფეროში ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, დამუშავება და გამოყენება, ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოცნობა და გადაწყვეტა, საბანკო მენეჯმენტის ზოგადი პრინციპების, ასევე საბანკო რისკების ძირითადი სახეების შეფასება, ფულად–საკრედიტო პოლიტიკისა და საერთაშორისო პრობლემების დაკავშირება;

2.11. კორპორაციის მართვის პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოცნობა, კორპორაციული ფინანსების კონსტრუირება, კორპორაციისათვის დროის მიხედვით ფულის ღირებულების შეფასება, იმდინარეღირებულებისადაალტერნატიულიდანახარჯებისგანსაზღვრა, საინვესტიციო პორტფელისათვის დამახასიათებელი რისკის მართვა, კორპორაციის კაპიტალის ფორმირება, კორპორაციის რესტრუქტურიზაციისათვის ფინანსური ბერკეტის გამოყენება;

2.12. ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მომზადება, ორგანიზაციის ქცევის მართვისა და საქმიანობის შეფასება, პროგრესული ტექნოლოგიების საფუძველზე პერსონალის შერჩევა, დაქირავება და მასთან მუშაობა, პერსონალის ატესტაციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა, პერსონალის დაგეგმვა და განვითარების მართვა

2.13. საერთაშორისო ბიზნესის საბაზისო ტერმინოლოგიითა და ცნებითი აპარატურით სწორად სარგებლობა; საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათთან დაკავშირებული ინფორმაციული რესურსების მოძიება, ღრმა ანალიზი, ობიექტური შეფასება, გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებში თავისუფლად ორიენტირება და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება; სხვადასხვა კულტურათა და სუბკულტურათა წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის ხერხებისა და მეთოდების ფლობა; ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის მოტივების გააზრება; უცხოურ ბაზარზე შესვლის ფორმების ღირსება-ნაკლოვანებების ანალიზი და კონკრეტულ სიტუაციაში მათგან ოპტიმალურის შერჩევა; საერთაშორისო საქმიანობაში კომპანიის სტრატეგიასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება; საერთაშორისო ბიზნესში მარკეტინგ-მენეჯმენტის თავისებურებების დახასიათება; საერთაშორისო ოპერაციული მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის ურთიერთკავშირის ანალიზი; საშინაო და საერთაშორისო ფირმებში ადამიანისეული რესურსების მართვის განმასხვავებელი ნიშნების დახასიათება და კომპეტენციის ფარგლებში ოპტიმალური მმართველური გადაწყვეტილების მიღება; იმ შესაძლებლობებისა და საფრთხეების გააზრება, რომელიც იხსნება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ; საერთაშორისო

ბიზნესთან დაკავშირებული კითხვების დასმა და მათზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; საერთაშორისო ბიზნეს-ინფორმაციის მოძიება და გადმოცემა; საერთაშორისო ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ჯეროვანი კომენტირება.

2.14. ფინანსების სფეროში ახალი დოკუმენტებისა და სტატისტიკური მასალების მოძიება და შეფასება, საქართველოში საფინანსო ურთიერთობათა ძირითადი ტენდენციების გამოცნობა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური სიტუაციისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების მუხლების დაკავშირება, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ახსნა, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირებისა და საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმების შერჩევა;

2.15. დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებების შემუშავება; წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის შედგენა; დანახარჯების მართვის კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის და ინტერპრეტაციების ჩამოყალიბება.

3. დასკვნის უნარი.

სტუდენტს შეეძლება:

3.1 აბსტრაქტული აზროვნება;

3.2 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;

3.3 ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლების იდენტიფიკაცია, გამოცალკავება და ერთმანეთთან შედარება;

3.4 ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეპირისპირება და შეფასება;

3.5 ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამორჩევა;

3.6 ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტირება;

3.7 ახალი ინფორმაციის განზოგადება;

3.8 შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;

3.9 გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადება;

3.10 არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ოპერაციულ ან ტაქტიკურ დონეზე;

3.11 შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვა;

3.12 განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა;

3.13 ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი.

სტუდენტს შეეძლება:

4.8. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება,

4.9. ბიზნესის დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და უცხოურ ენაზე;

4.10. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
4.11. საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს–ტერმინოლოგიის გამოყენებით;
4.12. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
4.13. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
4.14. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;

5. სწავლის უნარი.

სტუდენტს შეეძლება:

5.4. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
5.5. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
5.6. ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება;

6. ღირებულებები.

სტუდენტს ექნება შემდეგი ღირებულებები:

6.5. ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
6.6. ეთიკური ნორმების დაცვა;
6.7. სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
6.8. თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული პრობლემების გათავისება და დემონსტრირება.

ე) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

დამატებითი სპეციალობა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სხვა აქტიური მეთოდები. სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, აგრეთვე დასაუფლებელი დისციპლინის ცნებობრივი აპარატით. სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების გამომუშავება.

მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარებისა და საქმიანი თამაშების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების

მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლება წარიმართება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სწავლების მეთოდებით. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

3) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11 –21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით)

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა
სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლი
ს უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ
სტუდენტის მიერ ჩატარებული
სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ზ) დამატებითი სპეციალობა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)
სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსები / მოდულები									
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომა	თ. შენგელია უ. სამადაშვილი
2	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	IV გაზაფხული	თ. შენგელია უ. სამადაშვილი
3	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომა	დ. ნარმანია ე. ჩოხელი
4	ოპერაციათა მენეჯმენტი	5	125	15	30	80	მენეჯმენტის საფუძვლები	V შემოდგომა	ე. ჩოხელი ბ. რამიშვილი
5	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხული	ე. ხარაბაძე
6	ფინანსური აღრიცხვა	5	125	15	30	80	ბუღალტრული	VI გაზაფხული	ე. ხარაბაძე

							აღრიცხვის საფუძვლები		
7	მარკეტინგი 1	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	V შემოდგომა	ნ. თოდუა
8	მარკეტინგი 2	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VI გაზაფხული	ნ. თოდუა
9	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	5	45	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ა. ჩუთლაშვილი ხ. ბარბაქაძე
10	კორპორაციათა ფინანსები	5	45	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტებ ი და ბაზრები	VIII გაზაფხული	ხ. ბარბაქაძე
11	საერთაშორისო მარკეტინგი (არჩევითი)	5	125	15	30	80	მარკეტინგი 1	VII შემოდგომა	ნ. თოდუა
	ადამიანური რესურსების მართვა (არჩევითი)	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომა	ნ. პაიჭაძე ნ. ხარაძე
12	საერთაშორისო ბიზნესი (არჩევითი)	5	125	15	30	80	ბიზნესის ადმინისტრი რების საფუძვლები 2	VIII გაზაფხული	თ. შენგელია უ. სამადაშვილი ხ. ბერიშვილი
	საჯარო ფინანსები (არჩევითი)	5	125	15	30	80	ფინანსური ინსტიტუტებ ი და ბაზრები	VIII გაზაფხული	მ. ჩიკვილაძე ე. ჯგერენაია ი. არჩვაძე თ. კასრაძე
	მმართველობითი აღრიცხვა I (არჩევითი)	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VIII გაზაფხული	ი. ჭილაძე

	შენიშვნა: მე-7 და მე-8 სემესტრებში სტუდენტი შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან ირჩევს ერთს.								
სულ:		**60**							

თ) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი იოსებ ხელაშვილი.

ი) **დასაქმების სფეროები** - დამატებითი სპეციალობა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს დასაქმდეს ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით საწყის პოზიციებზე.